89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №8 (7061) 2 მაისი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს, - საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას.

სააღდგომო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, „გაუწყებთ თქვენ... საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც მამასთან იყო და ჩვენ გამოგვეცხადა“ (1 ინ. 1,2).

აღსრულდა სამოთხეში ადამისა და ევასთვის მიცემული პირობა უფლისა! სიკვდილი იძლია!

ქრისტე აღსდგა!

საკვრელი ბნელეთისა დარღვეულია და მართალთა სულნი - გამოხსნილნი!

ზეიმობს წიაღი აბრაამისა; ძეს თვისას, ყოველთა მეუფეს, შეჰხარის წინასწარმეტეყველი დავითი, იშვებს ქალწული და ყოველნი ზეციურნი ძალნი!

შემოდის დღე ძლევამოსილი და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი.

ეშმაკი მოტყუვდა, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად მიიღო თავის წიაღში კაცობრივი სულის მქონე უფალი,- ყოვლად უცოდველი, სრული სიყვარული, სიკეთე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომელმაც ჯოჯოხეთში შთასვლით შემუსრა ბოროტების, ღვარძლისა და სიცრუის სამეფო.

ქრისტე აღსდგა!

„სადა არს, სიკვდილო, ნესტარი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“ (1 კორინ. 35.55)

მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს, - საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას.

ქრისტე მკვდრეთით აღსდგა იმგვარი უხრწნელი სხეულით, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში და ჩვენც, მეორედ მოსვლის შემდეგ, ამ სულიერი სხეულით შემოსვის შესაძლებლობა მოგვცა.

ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან ხრწნილება, რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად ჩვენი დაცემული ბუნების თვისება გახდა, ვერ დაიმკვიდრებდა უკვდავებას.

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15,22); „ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5,11).

* * *

ჩვენთვის რომ გადარჩენის ერთადერთი გზა მოეპოვებინა, მაცხოვარმა უდიდესი დამცირება, ცილისწამება და ტანჯვა დაითმინა და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით გამოგვიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან.

მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუსრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბიწისაგან გათავისუფლების პროცესი სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ, - უნდა ძალისამებრ ჩვენისა განვაახლოთ შემოქმედის ხატება და მსგავსება ჩვენში (ანუ შინაგანად შევძლოთ აღდგენა იმისა, როგორადაც შეგვქმნა უფალმა), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბრძოლას ჩვენს ეგოისტურ აზროვნებასთან და ვნებებთან.

ეს არის გარდაუვალი ომი საკუთარ თავთან, რაც აუცილებლად მოუწევს ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

ამ ომში გამარჯვება წარმოუდგენელია ღვთის შემწეობის გარეშე, სიკვდილის დამთრგუნველი უფლის რწმენის გარეშე, რადგან საწუთრო და მისი საცდურნი იოლად არ ანებებენ თავს ადამიანს და მრავალგვარ მახეს უგებენ ცრუ თავისუფლების სახელით. წუთისოფელი და მისი წარმავალი სიკეთენი ჩვენს დაცემულ ბუნებას თავისკენ იზიდავს და ცოდვის მორევში ადვილად აქცევს მრავალთ.

☞2

„ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად აღსდგა“

ვნების კვირის დღეები და სააღდგომო ლიტურგია ძევრისა და ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში

☞2,8

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები და პროექტები

ლევან სანიკიძე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დაინიშნა

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞3,4

„ნეტარ არიან მოწყალენი გულითა“...

☞6

დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში უკვე შეგიძლიათ ისარგებლოთ უფასო, უსადენო და სწრაფი ინტერნეტით!

მაისი

2 მაისი—ქუთაისობა
6 მაისი—გიორგობა
9 მაისი—ფაშიზმზე გამარჯვების დღე
12 მაისი—ანდრიაობა
14 მაისი— თამარობა
22 მაისი— ნიკოლოზობა
26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

სააღდგომო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა

1☞

სულ სხვაა მორწმუნეთა ცხოვრება. ესაა მუდმივი სვლა მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით, რწმენისა და სიმართლის ვიწრო გზით; და ისინი, საკუთარ თავთან ბრძოლაში გამარჯვებულნი, სძლევენ წუთისოფელს (1 ინ. 5,4).

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ომს თავის თავთან კი არ აწარმოებს, არამედ მოყვასთან და შუღლითა და დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას.

* * *

დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის.

ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშიერ -მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათადმი), რათა დაიძლიოს ბოროტება.

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

* * *

ზოგადად, შიში, როგორც გადარჩენის ინსტიქტი, კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, ყველაზე ძლიერი კი სიკვდილის შიშია, რაც ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან სულისა და ხორცის გაყრასთან არის დაკავშირებული და მათი ერთობის დამრღვევია.

თუმცა ქრისტეს მორწმუნეთ იციან, რომ სხეულის დაფვლა მიწაში და სტიქიონებად დაშლა ჩვენი არსებობის შეწყვეტას არ ნიშნავს, არამედ ეს პროცესი აუცილებელია, რათა სხეული განახლებული სახით აღდგეს.

ზოგიერთ ადამიანს უჭირს ამის დაჯერება, პავლე მოციქული მოკლედ და ნათლად ამბობს, რომ: „რასაც დავთესავთ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ (1 კორინ.15, 36). ასევეა მკვდართა აღდგომაც ... „ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1 კორინ.15, 44), ხოლო ვისაც ეს აეჭვებს, ის დაეჭვებულია ქრისტეს აღდგომაშიც, „რადგან თუ მკვდარნი არ აღდგებიან, ქრისტეც არ აღმდგარა“ (1 კორინ.15,16)! - მართლმორწმუნისათვის ასეთი აზრი კი უდიდესი მკრეხელობაა და სულიერად დამღუპველი.

აღდგომილი მაცხოვარი არაერთგზის იხილეს მენელსაცხებლე დედებმა, მოციქულებმა, ხუთასზე მეტმა კაცმა და სხვებმა. იგი ორმოცი დღის მანძილზე არიგებდა და განაბრძნობდა თავის მოწაფეებს, რომელთაც, სულიწმინდის მადლით, მრავალ სასწაულთა აღსრულების უნარი მისცა; შემდეგ კი იესო ქრისტე ყველას თვალწინ ზეცად ამაღლდა და აღგვითქვა: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაგ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ. 28.20), და კიდევ: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და ... მირწმუნეს“ (ინ. 20.29)

* * *

ქრისტეს სასუფეველი მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვისაც არა აქვს შიში და სიყვარული ღვთისა და, ასევე, სიყვარული მოყვასისა, რაც შედეგია ჩვენი რწმენისა და მოღვაწეობითი ძალისხმევისა.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის ხაფანგისგან გამომხსნელი” (იგ. 14,27). იგი სულიერი სიბრძნის დასაწყისია, რადგან ამ მადლის მქონეთ ეძლევათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, უნარი გონივრული ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობისმყოფლობისა, მოყვასის სიყვარულისა და მისთვის თავდადებისა.

ღვთის შიში სხვა შიშებისაგანაც ათავისუფლებს ადამიანს და ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას უადვილებს, რადგან იგი განსაცდელსა და მწუხარებას მისთვის საჭირო მწარე, თუმცა მაკურნებელ, წამლად მიიჩნევს და ეშინია მხოლოდ იმისა, რომ არ შეექმნას სულიერი სიკვდილის საფრთხე (შდრ. მთ. 10,18).

ღვთის შიში უფალთან სიახლოვით მტკიცდება, უფრო აღმატებულ სულიერ მდგომარეობაში კი მას სრული სიყვარული ცვლის, როგორც ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული განდევნის შიშს, ... ხოლო ვისაც შიში აქვს, არასრულქმნილია სიყვარულში” (1 ინ. 4.18).

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, მადლითა შენითა“

მოციქული გვარიგებს, - ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5,17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას.

ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ.“

თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მინდობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ.

ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ - „უფალო, შეგვიწყალენ“ და მარად გახსოვდეთ, რომ „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან. ...

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისათვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი, ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა - თბილისის
მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-
აფხაზეთის
მიტროპოლიტი
აღდგომა ქრისტესი,
თბილისი, 2022

„ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად აღსდგა“

ვნების კვირის დღეები და სააღდგომო ლიტურგია ძევრისა და ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში

„სიბრძნით აღემართენით“, „მშვიდობა ყოველთა“, „უფალო შეგვიწყალე“, ამ სამ, ორი სიტყვისაგან შემდგარ, მაგრამ ყოვლისმომცველ, ძლიერ და მაგიურ სიტყვას ხშირად წარმოთქვამს ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის და ძევრის ჩიხნარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებში, სკანდესა და თავასაში დეკანოზი მამა დავითი (პატარიძე), რომელსაც თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესის, მეუფე გიორგის (შალამბერიძე) ლოცვა-კურთხევით მიენიჭა ეს წოდება. მამა დავითი სიყვარულით, მოწიწებით საუბრობს წმინდა სინოდის უხუცეს წევრზე, თქვა, რომ მეუფეს ჯერ ლენინგრადის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ ლენინგრადის სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებული. ეს ასი წლის მერე განმეორებული ისტორიაა. საუკუნით ადრე იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ ჯერ პეტერბურგის სასულიერო სემინარია, ხოლო შემდეგ პეტერბურგის სასულიერო აკადემია დაამთავრა. მეუფე გიორგი ღრმად განსწავლული საქართველოში დაბრუნდა და მას შემდეგ დაუღალავად მოღვაწეობს და გამოირჩევა მართლმადიდებლური ეკლესიების მხარდამჭერად, მუდამ სიმართლეს იცავს.

* * *

მამა დავითს ერისკაცობაში უმთავრესი წიგნი—ბიბლია და სხვა საეკლესიო ლიტერატურა მუდამ სამაგიდო წიგნად ედო, დაინტერესებული იყო საეკლესიო ცხოვრებით და მიიღო კიდეც შესაბამისი სასულიერო განათლება. მამა დავითი ათი წელია მსახურებს. ჰყავს ღრმად მორწმუნე მეუღლე, მშვენიერი ეკატერინე და ოთხი შვილი: თეოდორა, თეკლა, ზურაბი და ეფემია, შესაბამისად 10-4 წლის. „ჩვენ ტაძრებში ხშირად დავდივართ, განსაკუთრებით შაბათ-კვირას და ღამისთევაზეო“—თქვა თეოდორამ და დავაკვირდი მათ ქცევებს, ბევრ კითხვაზე გამცეს პასუხი ზურაბმა, როგორც სტიქაროსანმა და გოგონებმა, როგორც მგალობლებმა, იდგნენ სანთლებით ხელში და ლოცულობდნენ. „ჩვენ, საბავშვო სუმკით დავყავდით მშობლებს ტაძრებშიო“—მითხრა ერთერთმა—თეკლამ, ფეხზე ძლივს მდგარმა გაოცება რომ გამოვხატე.

☞8

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამები და პროექტები

თანადგომა ფერმერებს...

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 1ჰა -ზე 300 ლარით. სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰა-დან - 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები / თანამესაკუთრეები.

პროგრამის ბიუჯეტი 35 მილიონ ლარს შეადგენს და პროგრამით 300 000-მდე ფერმერი ისარგებლებს.

ბენეფიციარებს სუბსიდია სპეციალურ აგრობარათებზე ქულების სახით დაერიცხებათ, რომლის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად შეეძლებათ.

ამასთან, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშესაწყობად მსხვილ ფერმერებს საბრუნავი სახსრებისთვის აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთის 9% უფინანსდებათ.

(ცხელი ხაზი 1501)

ახალი მშენებლობები...

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის ფარგლებში, 2022-2026 წლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაციაა დაგეგმილი. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება. ყველა რეაბილიტირებული და ახლად აშენებული სკოლა აღიჭურვება საჭირო რესურსით და თანამედროვე ინვენტარით, ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. კეთილმოეწყობა კლას-კაბინეტები, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, ექიმის კაბინეტები, სპორტული მოედნები და ეზოები.

თბილისსა და რეგიონებში აშენდება 80 ახალი სკოლა, სრულად რეაბილიტირდება 220 სკოლა, ხოლო ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება 500 სკოლას. პროექტის ბიუჯეტი, რომელიც საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, 1 მილიარდი ლარია და მისით 200 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.

ამასთან საყურადღებოა, რომ განვადებით მშენებლობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესში 20 000-მდე ადამიანი დასაქმდება. საინვესტიციო პროექტების ჯამური მოცულობა 2 მილიარდ ლარს აჭარბებს და მათი ძირითადი ნაწილის შესრულება დაჩქარებულად, 2022-2023 წლებში იგეგმება.

სოციალური დახმარება გაიზრდება

2022 წლის 1 ივნისიდან, სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიური დახმარების სახით 150 ლარს მიიღებენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სოციალური დახმარება გასულ წელს უკვე გაორმაგდა და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

აღნიშნულ დახმარებას 215 000 ბავშვი მიიღებს.

პროგრამის ბიუჯეტი 341 მილიონი ლარია.

სხვადასხვა

* * *

მომდევნო 3 წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაუმჯობესდება სპორტული ინფრასტრუქტურა. ყველა მუნიციპალიტეტში განახლდება და სრულად რეაბილიტირდება ყველა ცენტრალური და მინი სტადიონი. ეტაპობრივად დაიწყება სპორტული კომპლექსების მშენებლობა. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

* * *

მომდევნო 3 წელიწადში, 200 000 ჰექტრამდე გაიზრდება წყალუზრუნველყოფილი ფართობები, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ და დაამუშაონ მიწის მეტი ფართობი.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შემუშავებული, ქვეყნის განვითარების 10 წლიანი სტრატეგიის ფარგლებში, 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს ყველა ქალაქი 24 საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2022–2025 წლებში 350 მილიონი ლარის ღირებულების წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია / მშენებლობის პროექტებს განახორციელებს.

პროექტების განხორციელების სამუშაოებზე, საქართველოს 1 500-მდე მოქალაქე დასაქმდება.

2022-2025 წლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კულტურული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია / მშენებლობაა დაგეგმილი. მათ შორის - აშენდება ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლა. რეაბილიტირდება შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, გორისა და ახალციხის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრები, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი და თბილისის ცენტრალური სამუსიკო სკოლა - „ნიჭიერთა ათწლედი“.

პროექტის საერთო ბიუჯეტი 146 მილიონი ლარია.

ლევან სანიკიძე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დაინიშნა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ **ლევან სანიკიძე** დაინიშნა. მან სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ქონებრივი საკითხები, სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაცია, სამინისტროებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხები, ასევე ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული მიმართულებები უნდა მართოს.

ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ლევან სანიკიძე 2021 წლის მოწვევის ქუთაისის საკრებულოს წევრი იყო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ქალაქ თერჯოლის პუშკინის ქუჩა...

ქალაქ თერჯოლაში, პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, ადგილზე იმყოფება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი და ადგილობრივის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში ამ დროისთვის, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს, ასევე მოეწყობა სანიაღვრე არხები.

გზის სამშენებლო სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “გი-ან 2011” ანხორციელებს, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება.

სააღდგომოდ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სასურსათო კალათები გადაეცათ.

რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან, საკრებულოს წევრებთან, შალვა ჭანკვეტაძესთან, ჯემალ ისაკაძესა და ბიძინა ბუცხრიკიძესთან ერთად იმყოფებოდა.

სასურსათო კალათა ყველა საჭირო პროდუქტს მოიცავს.

აღნიშნული პაკეტები, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, პროგრამით გათვალისწინებული პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები სააღდგომოდ 100-მდე ოჯახმა მიიღო.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეგიონული სისხლის ბანკის ორგანიზებით სისხლის უანგარო დონაციის აქცია მოეწყო.

კამპანიის ფარგლებში „გაიღე სისხლი და გადაარჩინე სიცოცხლე” მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები აქტიურად ჩაერთნენ, ასევე დონორობის სურვილი მოქალაქეებმაც გამოთქვეს.

ამასთან, სისხლის ბანკის მიერ, მოქალაქეებს უფასოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები:



- ჰემოგლობინი;
- B და C ჰეპატიტი;
- აივ ინფექცია (შიდსი);
- სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა.

მუნიციპალიტეტის მერია და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეგიონული სისხლის ბანკის წარმომადგენლები მადლობას უხდიან აქციის მონაწილეებს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის, რომ უანგაროდ ზრუნავენ თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი!

ამ დღეებში ქალაქ თერჯოლაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით გამწვანების აქცია გაიმართა.

გამწვანების აქციაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, მერის მოადგილეები და საკრებულოს თანამშრომლებიც ჩაერთნენ.

„აქციის მიზანია ჯანსაღი გარემოს შექმნა და შენარჩუნება, ასევე ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა, ვიზრუნოთ საკუთარ ქალაქსა და ქვეყანაზე.“-აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

აქციის მონაწილეებმა ქალაქის ტერიტორიაზე, კვიპაროსის ნერგები დარგეს.

დასუფთავების მორიგი აქცია...

თერჯოლის მერია აქტიურად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია გარემოსდაცვით ღონისძიებას „დავასუფთაოთ საქართველო“-ს შეუერთდა.

დასუფთავების მორიგი აქცია მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.

გარემოსდაცვით ღონისძიებებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, საკრებულოსა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, ასევე მოხალისეები სისტემატურად მონაწილეობენ, რითაც ცდილობენ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ჯანსაღი გარემო პირობების შექმნასა და შენარჩუნებაში.

დასუფთავების აქციის შედეგად შეგროვებული ნარჩენების გატანა ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა უზრუნველყო.

„სხვა ხე სხვაზე შეზარდო“

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ნერგის გამოყვანის ყველაზე გავრცელებული მეთოდი მყნობაა—როგორც სულხან საბა განმარტავს, მყნობა სხვა ხეზე სხვა ხის შეზრდაა. ყურძნის მომსხმელი ხის—ვენახის გაშენების საქმეს საქართველოში და ჩვენს რაიონშიც ამ მეთოდით ანვითარებდნენ. მევენახეობა იყო წამყვანი დარგი და უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქვეყნისთვის, ისე მოსახლეობისთვისაც.

თაობებს ახსოვს თერჯოლის სანერგე მეურნეობა, სადაც დიდი რაოდენობის ვაზის ნერგს ამზადებდნენ და მარაგდებოდა არა მარტო თერჯოლა, არამედ მეზობელი რაიონებიც. ბევრი თერჯოლელი აქ იყო დასაქმებული და ბევრმა შეისწავლა მყნობის საინტერესო პროფესია. რამაზ ლილუაშვილმა მყნობა-მეპიტონიკეობა მამისაგან—ვანო ლილუაშვილისაგან ისწავლა. ბატონი ვანო კარგი სპეციალისტი, შორსმჭვრეტელი და დაკვირვებული მევენახე ყოფილა, თუმცა, როგორც რამაზი ამბობს, წინაპართა წინაპრები მეპიტონიკეობას არ მისდევდნენ, ბევრი მიმდევარი ამ მნიშვნელოვან დარგს დღეს არ ჰყავს, ამიტომ ვინც ამ საქმითაა დაკავებული პატივისცემას იმსახურებს, საქართველოში და რაიონშიც ისევ უნდა დაუბრუნდეს ვაზს ძველი დიდება, ისევ უნდა გაშენდეს მაღლარი—ხეთა ზედა ასული, ოლიხნარი—დაბალ ბუჩქად გაშენებული, ხარდნის ვენახი, ტალავერი, ანუ ხეივანი, ვაზი დაბლარი... საქართველოში არსებული ასეულობით ჯიშთაგან უფრო გავრცელებული და კლიმატს შეგუებული.

რამაზ ლილუაშვილს, რომელზედაც მითხრეს კარგი მეპიტონიკეა, კარგი მევენახეო, ამჯერად რედაქციაში შევხვდი. ეს ჩემთვის „ფუფუნებაა“. რამდენჯერ ღია ცის ქვეშ, სიცხესა და სიცივეში, „სკამეიკაზე“ მჯდომს ამიღია ინტერვიუ, „კომფორტში“ მყოფმა „დავაყარე“ კითხვები. სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა. პირველი კითხვა არ ესიამოვნა—კარგი ვენახი კი გქონია, მაგრამ მაინც „შვლაპი“ დააყენე ალბათ და „გაგიჟდა“ კაცი.

რამაზი საქმეში ჩახედულია, არის უმაღლესი განათლებით, ფიზკულტურის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, მაგრამ სკოლაში არ უმუშავნია. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სპორტსკოლაში, სტადიონის დირექტორად, საფეხბურთო კლუბ „საპოვნელას“ ადმინისტრატორად, დიდი სიყვარული აკავშირებს ფეხბურთთან და ფეხბურთელებთან, როცა დარგის განვითარება შეფერხდა, როცა ფინანსებმა იკლო, იძულებით დატოვა სამუშაო, მაგრამ სული და გული იქ დარჩა. მე მეპიტონიკეობაზე ვუსვამდი კითხვებს და ის ხანდახან ფეხბურთის თემისკენ გადაუხვევდა, მოგონებებს ჩართავდა, გაიხსენა კურიოზები, გამარჯვების სიხარული, გატანილი გოლის გამო აღმაფრენა და გულწყვეტა, გუნდის გოლის გარეშე დაბრუნება, ან სულაც დამარცხება.

პატიოსნად შექმნილი ოჯახი აქვს ბატონ რამაზს, ჰყავს მასავით მშრომელი მეუღლე—ნინო კალანდაძე, ორი შვილი სულხანი და მერაბი, ორივე საცოლშვილო, ოცნებობს შვილიშვილებზე, მათ შვილებზე, აბა ისე რად მინდა რამეო.

1977 წლიდან დამოუკიდებლად მისდევს რამაზი ვაზის ნერგის გამოყვანას მყნობის მეთოდით, ძირითადად ადგილობრივ და ტრადიციულ ჯიშებს—ციცქას, ცოლიკაურს, ალექსანდროულს ამყნის. ყოველწლიურად 40 000 ნერგს ამზადებს, საღი, კარგად განვითარებული და უტყუარი, გასაყიდად ვარგისი 20 000 ნამყენი ამოაქვს. ისე „დავუწუნე“ საერთო ნამყენიდან 50%-ის ამოღება, არც შემრცხვენია. ხანდახან 60%-იცო, გაასწორა ნათქვამი და „შევხმატკბილდით“.

ფილოქსერაგამძლე საძირის საყიდლად სხვა რაიონში—მარნეულსა და კახეთში, საიდანაც მეპიტონიკეები მარაგდებიან, არ ჭირდება, საძირე, ე.წ. „წარე“ 1000 მეტრ ფართობზე აქვს გაშენებული. ძირითადად ციცქა, ცოლიკაურზე აქვს შეკვეთები, ამზადებს ალექსანდროულს, მაგრამ მცირე რაოდენობით, ნერგზე შეკვეთები რაჭა-ლეჩხუმიდან, თერჯოლიდან აქვს, დანარჩენი ბაზარზე გააქვს, ნამყენის ფასი მერყევია.

რამაზისათვის ვაზის სანერგე მეურნეობა არ არის მარტო შემოსავლის წყარო. მისი სურვილია, რომ მევენახეობა ქართველი კაცის, მთლიანად ერის ყოფა-ცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობის მომცემი დარგი ისე განვითარდეს, რომ საფიცარი გახდეს, საქართველოსთან ბრძოლის დროს შემოსული მტრები ქართველი ხალხის თავგანწირულ წინააღმდეგობას, ამ დარგის განადგურებით უპირისპირდებოდა. ბატონი რამაზი წუხს, რომ ხშირია წლები, როცა ვაზს ხელსაყრელი კლიმატური პირობები აღარ უდგას, რასაც ერთვის საწამლი პრეპარატების უხარისხობა, დიდი არჩევანია ბიოწამლების და ისიც, რომ არავინ იცის რომელი რომელს სჯობს, რამდენად არის საფრთხის შემცველი სამომავლოდ. უპირატესობას ტრადიციულს ანიჭებს, შაბიამანს და კირს, მაგრამ მასში სპილენძი სადღააო, კირსაც აღარავინ წვავს.

სიამოვნებს როცა შეკვეთები აქვს ნერგებზე, სიამოვნებს არა მარტო იმიტომ, რომ შემოსავალი აქვს, იმიტომაც, რომ თუ იყიდება, ე.ი. ირგვება ვენახი, შენდება ახალი პლანტაციები და ვითარდება დარგი.

ფიქრი მარანზე—საღვინე სახლზე

რამაზს ღია ჭურისთავი აქვს, ფიქრობს საღვინე სახლზე, დიდი ქვიტკირის საწნახელის მარანში მოქცევა სურს, მაგრამ ჭურებისა და საწნახელის მდებარეობა უშლის ხელს, თუმცა ჭურების დახურულ შენობაში მოქცევის განსაკუთრებული სურვილი არც აქვს—გადაწყვეტილებას შვილებთან ერთად მიიღებს, უყვარს გამოსანთლული ჭურები ტონანახევრიანიდან—ყველაზე მომცრომდე—50 ლიტრიანამდე. ჭური, ყელამდე მიწაში ჩაფლული, სიცხე-სიცივის ცვალებადობას კარგად უძლებს და ღვინოც კარგად ინახებაო. აქვს სხვა მრავალი მოწყობილობა, რაც ყურძნის დასაწურად, ჭურების სარეცხად, ღვინის გადასაღებად სჭირდება. თქვა, რომ საინტერესოა ყურძნის წურვის პროცესი. ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს წურვის სხვადასხვა „საფეხურს“, მაგრამ ხშირად აუღია წვენი, შუა წვენი, ბოლო წვენი. თითოეულისაგან სხვადასხვანაირი ღვინო დგება, ამიტომ საუკეთესო შემთხვევაში ისინი ერთმანეთში არ ერევა. განსაკუთრებით „ბოლო წვენს“ ძლიერად ეტყობა ჭაჭის „ძალა“, სიტკბო და არომატი სულ გამოყვება და უკეთესი და მაგარი ღვინო დგება. იყენებს ე.წ. „ნერჟავეიკის“ ჭურჭლებს. აქვს 800 ძირი სრულმსხმოიარე, კარგად მოვლილი ვენახი, თითოეული ძირიდან 3-4 კილო ყურძენს კრიფავს, ზოგს ყიდის, ზოგს წურავს და დგება ღვინო „მაგარი, კარგი, შემრგე, გემოიან-სუნიანი მრავლად“.

ცნობილია, რომ ყურძნის ნამდვილი მწარმოებლები 10-12 ჯერ წამლავენ ვენახს. რამაზიც დაახლოებით ამდენჯერ, თქვენო—მკითხა. ხუთჯერ-თქვა მივუმატე ერთი წამლობა, რადგან შემრცხვა. მოსპობ ლერწსო—არც მან დამზოგა ნამყენის % დაწუნების გამო.

ადრე წლებში, მამამისი მაგალითად, სხვა მეპიტონიკეები და კოლმეურნეობები საძირისა და კვირტის შეხვევას ჭილით ახდენდნენ, მერე გაიოლდა საქმე, ნამყენის პარაფინში ამოვლება უფრო ადვილი პროცესია, ჭრილობაც კარგად ხორცდება, 25-30 დღის მერე ნამყენი მიწაში გადააქვს. რამაზს 12 000 კვ. მ. მიწის ფართობი აქვს და მოჰყავს თითქმის ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ჰყავთ „ურიცხვი“ ფრინველ-საყოლიებელი, სხვა შინაური ცხოველები...

რამაზი და მისი ოჯახი ტრადიციების მიმდევარია შრომაში, ურთიერთობებში, ძმობა-მეგობრობაში, უყვარს სიცოცხლე, ადამიანები, რაიონი, ქვეყანა... მეტი რაღა გინდა ერთი კაცისგან, ერთი ოჯახიდან.

ჟუჟუნა ცხადაძე

შთაბეჭდილება უკიდეგანოა, როცა „ქალთა მუზეუმს“ სტუმრობ...

დასაწყისი წინა ნომერში

ვარინკა მაჭავარიანი—წარმოადგინა მარიამ სარდანაძემ:

იგი ზესტაფონში დაიბადა, განათლება ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო, მუსიკალური ნიჭით ბავ-

შვობიდან გამოირჩეოდა. მან აკაკი წერეთლის ნათესავზე იქორწინა და ასე გახდა პოეტის განუყრელი მეგობარი. პოეტმა თავად სთხოვა ვარინკას მისი ლექსისათვის სასიმღერო ჰანგი შეერჩია. ასე დაიბადა მრავალი ადამიანისათვის საყვარელი სიმღერა „სულიკო“.

ვარინკა აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. მან 1909 წელს ზესტაფონში დააარსა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც თავმჯდომარეობდა, შემდეგ ცხრაწყაროში საკუთარ სახლში სკოლაც გამართა, სკოლა ათამდე სოფელს ემსახურებოდა და გზას უნათებდა მომავალ თაობას.

ვარინკას თაოსნობით ზესტაფონში ბიბლიოთეკაც დაარსდა, მანვე საფუძველი ჩაუყარა დანგრეული თეატრის აღდგენას, იგი თავისი კონცერტებით ხელს უწყობდა საზღვარგარეთ გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმრებსა და მათ ოჯახებს.

აკაკი წერეთელმა კომპოზიტორ ქალბატონს „მაისის ბულბული“ შეარქვა.

ვარინკას „სულიკო“ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ისმის. მღერიან, ეტრფიან... იქ, სადაც ეს მუსიკა ისმის, ყველგან პატარა საქართველოა...

ასევე მაყურებელთა წინაშე იქნენ წარმოდგენილი სხვა უმნიშვნელოვანესი ბიოგრაფიის მქონე ქალები, თითოეული მათგანი გულისფიცარზე რომ უნდა გვეწეროს, გვახსოვდეს, გვიყვარდეს და ვეთაყვანებოდეთ, ესენია:

ევროპაში მოღვაწე ექიმი მეცნიერი, პედაგოგი საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი, **ბარბარე ყიფიანი, რომელიც წარმოადგინა ნინი სულამანიძემ.**

მთარგმნელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ანასტასია ერისთავი, წარმოადგინა ლიკუნა ქოჩიაშვილმა.**

პედაგოგი, მეცნიერი და პოლიტიკოსი **ქრისტინე შარაშიძე წარმოადგინა ნინი ქოჩიაშვილმა.**

მსახიობი, ქველმოქმედი **ბაბო ავალიანი წარმოადგინა მარიამ რობაქიძემ.**

მარო მაყაშვილი—წარმოადგინა ნინი ქაშაკაშვილმა:

მისი სახელი ყველამ იცის, იგია თავისუფლების, პატრიოტიზმის და საერთოდ ყველა კეთილშობილი იდეალებისათვის თავგანწირული ადამიანის სიმბოლო და ამ დროს ის მხოლოდ 19 წლის მეოცნებე გოგონა იყო, რომლისთვისაც სიცოცხლეზე ძვირფასი სამშობლო აღმოჩნდა...

მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა რუსეთის XI არმია საქართველოში შემოიჭრა, უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა... ძმასთან ერთად მარომ მოხალისედ წასვლა გადაწყვიტა. 1921 წლის 19 თებერვალს მარო მაყაშვილი დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლას შეეწირა...

ღონისძიების კულმინაცია: გოგონებისაგან გაცოცხლებული, ძალიან შთამბეჭდავი და სიყვარულით მომზადებული ფოტოკოლაჟები. საოცარ ფოტოებს ულამაზესი მუსიკა განსაკუთრებულ ხიბლს სძენს, მოსწავლე გოგონები თავიანთ ემოციებს გვიზიარებენ: „ვფიქრობთ იმ ქალბატონებზე, თავისი მოღვაწეობით გზა რომ გაგვიკვალეს, დღემდე რომ გვაფრთხილებენ, უფლება არ გვაქვს მათი ნაკვალევი წავშალოთ, მათი სიყვარულით და ცოდნით ნაშენები დავანგრიოთ, ძაფი წარსულსა და მომავალს შორის არ უნდა გაწყდეს. მადლობა ქალბატონებო, მადლობა, რომ ღირსება ყველაფერზე მაღლა დააყენეთ და ჩვენც ასე გვიჩვენეთ გზა აწი გასავლელი“...

„ვფიქრობ იმ გოგოზე, დღიურებიდან რომ გავიცანი. რამხელა საქმეა ამ მშფოთვარე თავგადასავალში შენი წილი ამბავი მოყვე და დატოვო, მით უფრო, თუ გაგანია ომში ცხოვრობ და არაფერს შენს გარშემო ბუნებრივი სახე არა აქვს—არც ადამიანებს, არც სამშობლოს, არც მტერს, არც სიყვარულს, არც სიცოცხლეს... ირგვლივ ომია და შენ ამ დროს, პატარა გოგო, შენს სულს დღიურებს ანდობ, ფურცელს აწებებ, როგორც ძლივს დაჭერილ მინდვრის პეპელას და მარტო შენი სიცოცხლისათვის კი არა, კიდევ უთვალავი სიცოცხლისათვის, უთვალავი მარტოობისათვის და სიხარულისათვის მარო მაყაშვილობ...

—გუშაგობ ერს!

—მარად! ასე ესალმებოდა მარო მაყაშვილი ადამიანებს. მე ჩემს მეგობრებსა და თანატოლებს მინდა

ვკითხო: ვუგუშაგოთ ერს?

—მარად (პასუხობს ყველა)... გესმის მათი ხმა?! ჰო მარად, ეს ხმა წარსულიდან მოდის, უწყვეტად და ასე გრძელდება საუკუნეები... უნდა გავაგრძელოდ ძლიერად, ომახიანად, იმედიანად, ისე, რომ ქართველი ქალის ხმა მომავალშიც არღვევდეს მტრის ძალას, აერთიანებდეს, ერთგულებდეს, ომს იგებდეს, მშვიდობის მტრედებს აფრთიანებდეს!“

აი, ასეთია მოსწალე-ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის განაცხადი...

როცა გარეთ სუსხია, როცა უკრაინაში ბავშვები, მოხუცები და მებრძოლები იღუპებიან, როცა სამყაროს მშვიდობა ბეწვის ხიდზე გადის და ნერვები ტკივილამდე დაძაბულია, ძნელია ცრემლები შეიკავო...

ასეც იყო. დასასრულს ღონისძიების შეფასება მადლიერების გამოხატვა ყელში ცრემლებმობჯენილებს მოუწიათ: ცენტრის დირექტორს ნინო ოქრუაძეს, საკრებულოს დეპუტატს, პედაგოგს რუსუდან კოვზირიძეს, ცენტრის პედაგოგს დარეჯან მემანიშვილს და სხვებს.

სამადლობელი კი ნამდვილად დიდი და გულწრფელი დაიმსახურა კლუბის ხელმძღვანელმა, დიდი ერუდიციის და პასუხისმგებლობის მქონე პედაგოგმა ნათია გამყრელიძემ, ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული კომპოზიციისათვის, ორგანიზებისათვის, მომზადებისათვის, მადლობა დაიმსახურა აგრეთვე თითოეულმა მონაწილემ.

მზია ცქიფურიშვილი

„ნეტარ არიან მოწყალენი გულითა“...

წუთისოფელი სავსეა ფიქრით, სევდით, ტკივილით, უამრავი საზრუნავით და სამწუხაროდ იშვიათად თუ ვინმე მისწვდება ბედნიერების ვარსკვლავს სამუდამო ფლობისათვის. ყველაფერი ცვალებადია და წარმავალი, სიმდიდრე, ბედნიერება, სიყვარული, თვით სიცოცხლეც კი და მხოლოდ უფლის გადასაწყვეტია, რომელი ჯვარი ვატაროთ ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე...

ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც გამორჩეული პატივით უნდა წარვუდგინო ჩვენს მკითხველს, თავისი სატარებელი ჯვარი უფლის ნებითა და ხელდასმით უკვე არჩეული აქვს... ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მისი არჩევანი ქველმოქმედება, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დახმარება, ანუ მოწყალების გაცემაა. ის არც მდიდარია, არც რაიმე დიდი შემოსავლის მქონე, სამაგიეროდ აქვს შინაგანი მოთხოვნილება დაეხმაროს ადამიანებს ვისაც ეს ესაჭიროება. მათი გახარებული სახეები და თვალებით ნათქვამი მადლობა ბედნიერს ხდის მას.

სალომე სირაძე ზესტაფონში დაიბადა და გაიზარდა, იქ დაამთავრა სკოლა. ის ახლა 28 წლისაა... 18 წლისამ კი ბედი ღვანკითელ სერგი ბუსკივაძეს დაუკავშირა, ორი ქალიშვილი შეეძინათ, რუდუნებით დაზარდა ისინი, საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა, ეკონომიურად რომ მოძლიერებულიყვნენ და შემდეგ სამშობლოში „საქმე“ წამოეწყოთ. წელიწადნახევარი

საფრანგეთში ცხოვრობდნენ, ცოტაოდენი კი დააგროვეს, თუმცა შემდეგ მეუღლემ ვერ გაძლო სამშობლოსა და ახლობლების გარეშე და დაბრუნება გადაწყვიტეს.

სალომეს ძალიან უყვარს მოხუცები, უხარია მათთან ურთიერთობა და მათი დახმარება. დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მოხუცთა თავშესაფარი გაეკეთებინა, თუმცა ეს ძალიან დიდ ძალისხმევას და თანხას საჭიროებდა და ვერ შეძლებდა. დაიწყო მოხუცების დახმარება, საკვები პროდუქტებითა და წამლებით, რიგ შემთხვევაში ფულით.

სალომე არ საუბრობს დეტალებში, სად, ვის, რამდენით დაეხმარა, ან რა რაოდენობის თანხა და უფასო პური დაარიგა, რადგან მიაჩნია, რომ სიკეთე ჩუმად, უხმაუროდ უნდა აკეთოს და ამას აფიშირება არ სჭირდება.

სალომეს ქველმოქმედების თაობაზე თერჯოლის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეთერ ტურავამ, იმ ადამიანებისაგან შეიტყო, ვისაც ის დაეხმარა და უმწეო მდგომარეობაში მყოფს, მომავლის იმედი გაუჩინა, ქალბატონმა ეთერიმ ის ქალთა საბჭოს მორიგ სხდომაზე საბჭოს წევრებს გააცნო. სალომემ ძუნწად ისაუბრა თავისი საქმიანობის ამსახველ პრეზენტაციაზე, თუმცა მისი საქმიანობა ერთხმად დადებითად და მისაბაძად იქნა შეფასებული...

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როცა საქველმოქმედო საქმეს აკეთებს, მასთან ერთად არიან მისი მცირეწლოვანი 10 წლის და 3 წლის შვილები. დედასთან ერთად გადასცემენ ადამიანებს ფულს თუ საკვებს და ისინი ამას აკეთებენ სიხარულით, სიყვარულით და ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე გააკეთებენ იგივეს...

ქველმოქმედება ხომ გადამდებია, გარდა იმისა, რომ ეს უდიდესი ღვთიური საქმეა, როგორც იტყვიან დიდმოწამენი „მოწყალების გაღება ადამიანს სამოთხის კარს გაუღებს. „ნეტარ არიან მოწყალენი გულითა, რამეთუ იგინი შეიწყალენ“...

ამასთან როგორც უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის ქადაგებაში ბრძანებს „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მოწყალების გაღებით უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სულის გადარჩენისათვის ვზრუნავთ, ამიტომ ადამიანი ყოველთვის მოწყალე უნდა იყოს.

ყოველი ქრისტიანი მოვალეა, რითაც შეუძლია დაეხმაროს გასაჭირში ჩავარდნილ მოყვასს, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და იოლი საშუალება სულის ცხონებისა და ღმერთთან მიახლოებისა“...

სალომე სირაძე საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა ყოველგვარი ანგარებისა და სამაგიეროს მიღების სანაცვლოდ, დაუჯერებელია, თუმცა, ფაქტია ის ამას აკეთებს მაშინაც კი, როცა ამის საშუალებაც არ აქვს, იმისათვის შეუძლია სესხიც აიღოს. მადლიერია თავისი დების, მეგობრების, ოჯახის, რომლებიც ამ დროს გვერდში უდგანან და გაგებით ეკიდებიან მის სურვილს.

ძალიან ხანმოკლეა წუთისოფელი... მოხვეჭილი სიმდიდრე თუ დაგროვებული ფული, მითუმეტეს თუ საკუთარი შრომა-გარჯის გარეშე აქვს ადამიანს მოპოვებული, წარმავალია. ადამიანი რომ გააბედნიერო, გაჭირვებულს ხელი გაუწოდო და უმძიმესი მდგომარეობა შეუმსუბუქო ანუ კეთილი საქმე აკეთო, ბედნიერებაა უპირველესად შენივე თავისთვის...

ვისურვებდი სალომეს მსგავსს ბევრ ადამიანს, რომლებიც კიდევ უფრო მეტ ადამიანს გაუთბობს გულს, თანადგომითა და მოწყალებით.

მზია ცქიფურიშვილი

23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ხოტბა-დიდება და ქებათა-ქება წიგნს!

წიგნი. რა არის წიგნი?

დავიწყოთ სალექსიკონე განმარტებით:

წიგნი — რაიმე დაბეჭდილი ტექსტის შემცველი ფურცლები ერთად აკინძული.

წიგნი — სპეციალური დანიშნულების დავთარი.

სულ ეს არის?!

არა, წიგნი სულ სხვაა. სხვა, მრავალგანზომილებათა მომცველი. ხოლო თუ გავრცელებულ პერიფრაზს მოვუხმობთ — წიგნი არის — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“.

1995 წელს იუნესკომ 23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

ეს დასტურია იმისა, რომ წიგნი ცხოვრების სარკეა!

წიგნი ცოდნის გავრცელების ყველაზე ხელმისაწვდომი და მისივე შენახვის საუკეთესო საშუალებაა.

მწერლებსა და ხელოვანებს ყველაზე კეთილხმოვან-კეთილსახოვანი საგალობელი სწორედ წიგნისთვის უნდა მიეძღვნათ და მიუძღვნეს კიდეც.

მსოფლიოს შვიდი საოცრების ჩამონათვალი წიგნით უნდა იწყებოდეს უთუოდ.

მაგრამ, თუ ეს ასე არ არის, ამით წიგნის ღირსება სულაც არ არის დაკნინებული. პირიქით, მისი ადგილი რაიმე ჩამონათვალში არ უნდა მოიაზრებოდეს, რადგან წიგნი — ერთადერთია, რადგან წიგნი სულ სხვაა...

„... თანდათანობით წიგნის ინფორმაციის წყაროდ გადაქცევას ცდილობენ“— სევდიანად წერდა ერთგან დაკვირვებული კალმის ოსტატი თამაზ ჭილაძე. მის ნაწერებს ყოველთვის გაფაციცებით ეძებს მკითხველის თვალი. წინამდებარე სტრიქონებიც ალბათ მაშინ თუ გაჩნდა, როცა სიტყვა-ტერმინი კომპიუტერი თავდაჯერებულად შემოდიოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ტექნიკური სასწაულები სულ უფრო და უფრო თამამად გვიჩენდნენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ნაჩქარევად დაედო მძიმე ბოქლომები კარებმოჭრიალე სამკითხველოებს.

წიგნის მაღაზიებსაც შემოწყრნენ. თერჯოლაშიც დაიხურა „მედიკოს წიგნის მაღაზია“ — წიგნის მოყვარულთა თავშეყრის ერთგული ბურჯი და მკითხველ-სამასლაათო.

საუკუნის პირმშო — კომპიუტერი თამამად შემოვარდა ავანსცენაზე და დასანანია, რომ წიგნის თაროებსაც, თანდათან მტვერი დაედო...

არადა, წიგნი სალექსიკონო განმარტებით „სპეციალური დანიშნულების დავთარი“ როდია მხოლოდ! ის დედაენაც არის, „შვლის ნუკრის ნაამბობიც“, „გმირთა ვარამიც“... ის კაციც, „ლიტერატურა, რომ ძლიერ უყვარდა...

თუმცა, ისტორიებმა უარესი ჩანაწერებიც შემოგვინახეს... ანუ, გვაწვდინეს, ხმები ინკვიზიტორები როგორი გამეტებით ყრიდნენ ცეცხლში წიგნ-საგალობლებს...

მსახვრალი ხელი თუ ვინმეს, ან რამეს წვდომია დასათრგუნად და უარსაყოფად — ეს წიგნი იყო!

ძნელია ახლანდელ, კომპიუტერში თავჩარგულ თაობას აუხსნა, რომ წიგნი სხვაა, კომპიუტერი — სხვა. რომ, მათ „შუა უზით დიდი ზღვარი“...

უსამართლობა იქნება ისიც, თუ ადამიანის გენიას ბრალს დავდებთ კომპიუტერის შექმნის გამო, მაგრამ, ამასთან ერთად ეს „ყველაფრის მცოდნე“ ვუნდერკინდი არ უნდა მივუშვათ თავის ნებაზე. უპრიანია ყური მივუგდოთ ბრძენ წინაპართაგან მოწვდენილ ხმას: „ოქროს შუალედი!..“

რას გვასწავლის წიგნი?

ეს არ არის ერთი თემა. ანუ, თარგი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოველდღიურად შინ და გარეთ.

წიგნი არ გვკარნახობს, არ გვმბრძანებლობს, უბრალოდ გვირჩევს, მოგვიწოდებს...

—წიგნი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

—იკითხეთ წიგნი და ნევროზსა და დეპრესიას კუდით ქვას ასროლინებთ.

—წიგნიერი ადამიანისთვის მიუღებელია — რა არის უკადრისი ქცევა.

—წიგნთან ურთიერთობა ახანგრძლივებს სიცოცხლეს.

—წიგნი მუდამჟამ ჩაგვჩიჩინებს, რომ: ყური ვუგდოთ ქვეყნის ყოველდღიურ მაჯისცემას.

—სამშობლოს ყოველდღიურად ერთი აგურის მიტანას სწორედ წიგნი გვავალდებულებს.

—წიგნი ჩვენს ქცევას აკვირდება, ცდილობს ღირსება ჩაგვინერგოს.

—წიგნი გვაიძულებს ოპტიმისტი ვიყოთ, ყურები არ ჩამოვყაროთ.

—წიგნი საინტერესო თავგადასავლებს გვიამბობს იმისთვის, რომ ცხოვრება ვისწავლოთ.

—წიგნი არ გვპირდება პრობლემების გადაჭრას, მაგრამ რწმენას გვინერგავს რობინზონ კრუზოს სიჯიუტით გამოვიდეთ გამოუვალი მდგომარეობიდან.

—წიგნი გვარწმუნებს, რომ სასწაულებს მხოლოდ წიგნიერი ადამიანები ახდენენ.

—წიგნს არასდროს ძინავს, არ მოგვრიდოთ, ნებისმიერ დროს „დაუკაკუნეთ“ კარზე...

—წიგნი გვეუბნება — სანამ ეიფელის კოშკის სანახავად წავიდოდეთ, ჯერ ნავენახევის მღვიმეში შევიხედოთ... ვარძიის კლდეში ნაკვეთი ქალაქის ლაბირინთებში ვიხეტიალოთ...

—წიგნს ხავსი არ ედება.

—წიგნი ლოცვას გვასწავლის, რომ არავინ დავწყევლოთ.

—წიგნის საპირწონე ძალა არ არსებობს!

—წიგნი ღაღადებს, რომ სიდიადე მის უბრალოებაშია.

—ცხოვრების ბნელი ხვეულებიდან მხოლოდ წიგნის მეშვეობით გამოვაღწევთ...

—გინდათ ახლობელი გაახაროთ? აჩუქეთ მას „წიგნი რამ ომით მონაპოვარი“...

—წიგნი გვაბედნიერებს.

—წიგნი ფიქრს გვაიძულებს.

—წიგნს, რაც კი კარგი რამ გააჩნია — უნდა „წავართვათ“.

—წიგნი მარადჟამს მოგვიწოდებს — „შეიცანი თავი შენი“.

ბოლოთქმა: ადამიანის ყველაზე გულწრფელი, ალალი, კეთილმრჩეველი წიგნია. სხვა ახსნა, სხვა განმარტება არ გაგვაჩნია, არც გაგვიგია.

ნუგზარ გამყრელიძე

ჭადრაკი ჩვენი თამაშია

თერჯოლის საჭადრაკო ცხოვრების ისტორიიდან...

საქართველოში ბევრს უყვარს ჭადრაკის თამაში. ადრეული ახალგაზრდობის წლებში წინამდებარე სტრიქონების ავტორიც იყო დაკავებული ამ საქმით. ვხარობდი, როცა ამის „უფლება“ მეძლეოდა, დამარცხების სიმწარეს კი „გაგებით“ ვეკიდებოდი.

მონაწილეობა მხოლოდ ერთხელ მივიღე რაიონის მასშტაბით გამართულ ოფიციალურ ტურნირში. პრიზიორთა შორის მართალია ვერ მოვხვდი, მაგრამ მსაჯებმა „დიპლომატიური სვლა“ გააკეთეს და ერთ-ერთი პარტიის ენდშპილში გონივრული სვლისთვის, რამაც ყაიმი მარგუნა — კედლის საათით დამაჯილდოვეს.

ამ ტურნირმა ჩემთვის მაინც შეასრულა პოზიტიური როლი — ჭადრაკის თამაშს თავი დავანებე! სამაგიეროდ ჩემი ინიციატივით თერჯოლაში მაშინდელი გაზ. „წინსვლის“ სახელობის საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“ დაარსდა.

თერჯოლაში საჭადრაკო კლუ-ბის გახსნის შესახებ თითქმის ყველა რესპუბლიკური გაზეთი წერდა. გვესმოდა საქებარი სიტყვები.

დაინტერესდნენ მშობლები, ბევრი ნიჭიერი ბავშვი გამოავლინა ამ კეთილშობილურმა საქმემ.

პირველი გვესტუმრნენ აღიარებული დიდოსტატი **ნანა იოსელიანი**, საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ჭადრაკში, სპორტის სხვა მესვეურნი...

ამ კლუბის აღზრდილია ამჟამად თერჯოლის საჭადრაკო სკოლის პედაგოგი ოსტატობის კანდიდატი **მერი ჩაფიჩაძე**, ცნობილი საჭადრაკო ეტიუდისტის **ემზარ ჭუმბურიძის** ვაჟიშვილი, ოსტატობის კანდიდატი გია და სხვები.

მათი აღსაზრდელები სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა დონის ტურნირებში.

აქვე: მერიმ რედაქციაში საჩუქრად საჭადრაკო სახელმძღვანელო („ჭადრაკი დამწყებთათვის“) მოგვიტანა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ნაჩუქარ ნივთს, როგორც სახსოვარს საგულდაგულოდ ვინახავთ, როგორც წესი ნაჩუქარის გაჩუქება არ არის მიღებული, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დავარღვევთ ტრადიციას და ძვირფას საჩუქარს საზეიმოდ გადავცემთ რომელიმე უახლოესი ტურნირის გამარჯვებულს.

მერი, იმედია ამ ჟესტით შენც გაიხარებ. გმადლობთ.

მომავალ პაექრობაში გამარჯვებების იმედი გვაქვს.

ქართული საჭადრაკო სკოლა ახალ ტალანტებს ელის.

ნუგზარ გამყრელიძე

ჭადრაკის დაფებსა და საჭიდაო ხალიჩებზე

ა(ა) იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში:

ქუთაისი: 10 მარტი—ღია პირველობა ძიუდოში.

საბა სულამანიძე 38 კგ. II ადგილი

ნიკოლოზ გეწაძე 38 კგ. III ადგილი

ილია რობაქიძე 42 კგ. IV ადგილი

თერჯოლის სპორტის სასახლე: ტრაგიკულად დაღუპული სპორტსმენის ზურაბ ქარქაშაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე ღია ტურნირი ძიუდოში, მონაწილეობდნენ: თერჯოლის, ზესტაფონის, გელათის, ღორეშას, სამტრედიის, ზუგდიდის, აბაშის, ხარაგაულის, ჭიათურის, წყალტუბოს, საჩხერისა და ქ. ქუთაისის ოთხი გუნდი.

აქ თავი გამოიჩინეს: ნიკოლოზ მამრიკიშვილმა—27 კგ. მე-3 ადგილი, საბა სულამანიძე—42 კგ. მე-3 ადგილი.

2011-2012 წლებში დაბადებულთა შორის კი პრიზიორები გახდნენ: ზურაბ ბოჭორიშვილი 24 კგ. I ადგილი, საბა სულამანიძე 42 კგ. I ადგილი, ნიკოლოზ რობაქიძე 21 კგ. III ადგილი, სანდრო ობოლაძე 50 კგ. IV ადგილი, იოსებ კუბლაშვილი 55 კგ. III ადგილი.

რაც შეეხება მოჭადრაკეებს:

2-9 აპრილს ქ. ქუთაისში იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციამ მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი გამართა სხვადასხვა კატეგორიებში.

აქ ტოლი არავის დაუდეს ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის სექციის მოსწავლეებმა: მეხუთე თანრიგოსან გოგონათა შორის მე-3 საპრიზო ადგილის მფლობელი მარიამ მაღლაკელიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) გახდა. მან ასევე დაიმტკიცა IV თანრიგი.

მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა მისმა თანაკლასელმა დავით ნიკოლაძემ. მანაც დაიმტკიცა IV თანრიგი. ისინი იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის მე-3 ხარისხის დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ (შვიდი ტურიდან 5-5 ქულით). ტურნირზე კარგი თამაში აჩვენა „მზეკაბანი-2007“ სკოლის მოსწავლემ ჯაბა არაბიძემაც. მან მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის კოეფიციენტის მიხედვით მე-4 ადგილი დაიკავა და მე-4 თანრიგი დაიმტკიცა.

ღია საკვალიფიკაციო ტურნირი:

მარიამ ზაქარეიშვილი I ადგილი

ნინი წივწივაძე II ადგილი

ნატალია წივწივაძე II ადგილი

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: მერი ჩაფიჩაძემ, გია ჭუმბურიძემ, ლერი რობაქიძე, ზურაბ ჩაფიჩაძემ, დავით გამეზარდაშვილმა, ონისე ბოჭორიშვილმა.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

ჭარბმა წონამ არ შეგაშინოთ

მოუსმინეთმხოლოდ დიეტოლოგებს

გაზაფხულზე მიირთვით ბოსტნეული: კომბოსტო, ოხრახუში, ისპანახი, ბარდა, ლობიო, ცხარე წიწაკა, ოსპი, ცერცვი.

კარგია გარგარის, ქიშმიშის, ლეღვის, უნაბის, ხურმის ჩირები.

არასდროს თქვათ უარი ცილებით მდიდარ პროდუქტებზე (ყველი, ქათმის ხორცი, ხაჭო).

ზაფხულსა და შემოდგომაზე სასურველია მიიღოთ: კიტრი, ყაბაყი, კამა, ბადრიჯანი, სალათა, ალუბალი, საზამთრო, ნესვი, ვაშლი...

ზამთარში მოუხმეთ: გრეიფუტს, ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს... ასევე ბოსტნეულს: სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი, ბოლოკი, მიწავაშლა...

წარმოდგენილი მარტივი რჩევების დაცვა სულაც არ არის რთული. სამაგიეროდ ერთხელ და სამუდამოდ გააცილებ ჭარბ წონას. თავისუფლად ამოისუნთქავთ. სიცოცხლის ხალისს დაიბრუნებთ...

ვინ, როგორ ავლენს თავს... კვების დროს?!

უცხოელმა (კერძოდ ინგლისელმა) მეცნიერებმა „მიაგნეს საქმეს“ და ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად აღმოაჩინეს, რომ:

თუ კაცი ხარბად ნთქავს საჭმელს, ეს ფარული სიფიცხის აშკარა ნიშანია.

ის, ვინც სწრაფად, მაგრამ გონივრულად ჭამს,—სწრაფად მუშაობს.

ადამიანები, რომლებიც საჭმელში ვიტამინების სიუხვისათვის ზრუნავენ, მუშაობისას ბევრ ყურადღებას უთმობენ უმნიშვნელო წვრილმანებს.

ნელა, აკურატულად მჭამელები კარგი ორგანიზატორები არიან.

თუ კაცი აშკარად ნეტარებს ჭამით, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავის ძალებში დარწმუნებულია.

ვინც ჭამის დროს ხშირ-ხშირად აკეთებს პაუზებს, მოქმედების მოყვარულია.

ისინი კი, რომელთაც მადა არა აქვთ, სამუშაოსაც გულგრილად მოეკიდებიან!..

ეს უნდა ვიცოდეთ:

ლობიო

ლობიო სითბოსმოყვარული მცენარეა, ამიტომ ვიდრე ნიადაგის ტემპერატურა 10-მდე მაინც არ დათბება მისი დათესვისგან თავი უნდა შევიკავოთ.

ლობიოს არც ჭარბტენიანობა „მოსწონს“.

პამიდორი

სითბოსმოყვარული მცენარეა და სინათლე უყვარს. დაჩრდილულ ადგილებში მოსავალს თითქმის არ იძლევა. გვალვაგამძლეა.

დარგვამდე ორმოებში 1-2 მუჭა გადამწვარი ნაკელი უნდა ჩააყაროთ. ყოველი გაწვიმების ან მორწყვის შემდეგ ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს და ზედმეტი ამონაყრები შეეცალოს.

ოხრახუში

თუ ოხრახუშს ვაზის სიახლოვეს ახარებთ, ის ვაზს მავნე მწერებისგან დაიცავს.

გრიპის პროფილაქტიკა

სასურველია დღეში ორჯერ 10-15 წუთის განმავლობაში ისუნთქოთ გახეხილი ხახვის და ნივრის ნარევით...

მოიშენეთ ციცარი

ეს აფრიკული წარმომავლობის ფრინველი ბევრ ოჯახს ჰყავს. მას გემრიელი ხორცი აქვს. ეზო-კარს იცავს ქვეწარმავლებისგან. ადვილი მოსავლელია. წელიწადში 150-მდე კვერცხს დებს. საშუალო წონა 1.5 კგ-მდეა.

მამაცი ფრინველია, თავს არავის დააჩაგვრინებს. გირჩევთ მოიშენოთ. კმაყოფილი დარჩებით.

რაც შეეხება ქათამს — მისი მოშენება, მოვლა-პატრონობა არავის ესწავლება. პრობლემას მხოლოდ უპატრონო - მაწანწალა ძაღლები ქმნიან, რომლებიც ფრინველის ნორმალურად მოვლისა და გამრავლების შესაძლებლობას არ იძლევიან.

თხამ ვენახი შეჭამა?

დიახ, შეჭამა. არ უნდა მიუშვათ და არ შეჭამს. თავის მხრივ მას უხვი და ნოყიერი პროდუქციის მოცემა შეუძლია. ადვილი მოსავლელია, ეგუება ეკოლოგიურ პირობებს. ცოცხლობს 17 წლამდე. მისი მრავალი სახეობა არსებობს. მათგან გამორჩეულია ქართული ჯიში. იძლევა ხორცს, რძეს, ბეწვს, ტყავისგან ამზადებენ ღვინის გადასაზიდ ე.წ. ტიკჭორებს...

ნორმალური კვებისა და მოვლა-პატრონობის პირობებში 800 კგ. რძეს იწველის წლის განმავლობაში.

სიტყვების მრავალმნიშვნელოვანი განმარტებები:

სამშობლო—ჩემი საფიცარი!

თბილისის „დინამო“—სად დამეკარგე „სულიკო“?

ფული ვითომ ხელის ჭუჭყია? —აბა, რამ გადარია ეს ხალხი?

ირონია—ლექსიკონიდან ამოსაძირკვი სიტყვა.

კორონა წავიდა?—აუჰ!

2 ☞

„ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად აღსდგა“

ვნების კვირის დღეები და სააღდგომო ლიტურგია ძევრისა და ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში

ლაზარეს შაბათიდან—აღდგომამდე

მამა დავითი ვნების კვირის დღეებში მონაცვლეობით ატარებდა ტაძრებში წირვა-ლოცვას. პირველ დღეს მან ისაუბრა ქრისტეს მიერ ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებაზე, რაც მოასწავებდა დიდ შაბათსაც, მაშინ ძე ღვთისამ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი შემუსრა“, „მკვდარნი ქვესკნელით აღადგინა: ბზობას, იერუსალიმში დიდებით შესვლა, მის დამხობას და ახლის შენებას მოასწავებდა. იგი მიანიშნებდა: ბოროტებაზე—სიკეთის, სიკვდილზე—სიცოცხლის გამარჯვებას, რაც კაცობრიობას ძე ღვთისას ჯვარცმით და ბრწყინვალე აღდგომით ემცნო. სწორედ ბზობით დაიწყო გოლგოთაზე აღსრულებულ საიდუმლოთა საიდუმლო.

ბზობიდან აღდგომამდე ტაძრებში წაკითხულ იქნა უმთავრესი ლოცვა-მოძღვრებანი, ლოცვები და საგალობლები, ფსალმუნი, მგალობლებმა იგალობეს რჩეული ლოცვები, მამაო ჩვენო, ანგელოზთა გალობები, წმინდაო ღვთისაო, დიდება მაღალთა შინა, სძლის პირი, ალილუია...

დეკანოზმა მრავალჯერ მოუწოდა მრევლს, რომ იკითხონ საღმრთო წერილი, აღმოფხრან არაწმინდა ზრახვანი, უჯერო ფიქრები, ებრძოლონ მანკიერ სურვილებს, გემოთმოყვარეობას, ამპარტავნობას, აკეთონ ჯერ სულიერი, შემდეგ მიწიერი საქმეები.

უფლის ბოლო ტრაპეზი

დეკანოზმა დავითმა განმარტა დიდ ხუთშაბათს, უფლის ბოლო ტრაპეზზე, პურის დარიგება და სიტყვები—მიიღეთ და ჭამეთ, ეს არის ხორცი ჩემი, ღვინის მიწოდება და სიტყვები—შესვით მთლიანად—ეს არის სისხლი ჩემი ახალი აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებლად ცოდვათა—დეკანოზმა გასაგებად განმარტა, ისიც, რომ მოწაფეებს ფეხების დაბანით მისცა თავმდაბლობის საოცარი მაგალითი, ხოლო სიტყვები—მოიქეცით ისე, როგორც მე მოგექეცით, არის უდიდესი სწავლება ქრისტიანული ცხოვრებისათვის. ქრისტეს მინიშნება—ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს—მოასწავებდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს. ბოლო ტრაპეზზე პურით და ღვინით სავსე სასმისით დაადგინა საიდუმლო ზიარება. მოციქულები ეზიარნენ ქრისტეს ხორცსა და სისხლს.

ამ დღეს მამა დავითმა მრევლი აზიარა.

ჯვარცმა და სიკვდილი იესო ქრისტესი

წითელ პარასკევს მრევლი კვლავ შეიკრიბა. მედავითნენი კითხულობდნენ შესაფერისს ადგილებს წმინდა წერილიდან, მგალობლები გალობდნენ, განემარტა მრევლს, რომ ყოველი პარასკევი გადაიხდება უმძიმესი მარხვით, რადგან ეს არის დღე ჯვარცმისა და დატირებისა, რომ ამ დღეს მეწამულად ვღებავთ კვერცხებს, რაც სიყვარულისმიერი სისხლით კვლავ კურთხეულ ქვეყანას გვანიშნებს. მრევლმა იცის ჯვარცმულის შვიდი სიტყვა და მნიშვნელობა ჯვარიდან „მამაო, მიუტევე მათ, რადგან არ იციან, რასა იქმან“, „ამინ, გეტყვი შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“, „დედაკაცო, აჰა, ძე შენი“, „ღმერთო, ღმერთო, რაისთვის დამიტეობ მე“, „მწყურის“, „მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“, „ასრულდა“.

„ვაი, რა კარგი საჩინო“

ჯვრის გარდამოხსნის რიტუალმა სიმბოლურად განასახიერა უფლის საფლავი, მისი დატირება. პარასკევი, ეს ყველაზე მძიმე და სევდიანი დღე დაასრულა საგალობელმა „ვაი რა კარგი საჩინო“.

კლდეში გამოკვეთილ საფლავში მიცვალებულთა დამარხვის წესისამებრ იესოც შეასვენეს.

საფლავის კარზე ქვა მიაგორეს, მოამზადეს ნელსაცხებელი. იესო თავისი სულით მივიდა ჯოჯოხეთში, აცნობა გარდაცვლილთა სულებს თავისი გამარჯვება სიკვდილზე, გამოიყვანა სამოთხეში ადამიანთა სულები, იმედით, რომ ელოდონ მის მოსვლას.

„ერი და ბერი ეკლესიის ბჭეს შეკრებილან“

პირველი, რაც ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ეზოში მისვლისას დამეუფლა, ეს იყო ხალხმრავლობა. როგორ მონატრებია ტაძარი, მოძღვარი და ერთმანეთი ხალხს, პანდემიამ ოდნავ შეაფერხა სულიერი ცხოვრება, იმავდროულად გააძლიერა, რადგან სახლში ლოცვაც მნიშვნელოვანია და მოწრწმუნეთა ტაძარში გადმონაცვლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, აქ მრავლად იყნენ ძევრელები, თავასელები, სკანდელები. ძევრელებმა: დარიკო ბარათაშვილმა, მართა მეფარიძემ, გელა ფანჩულიძემ, ვეფხია არღვლიანმა, სკანდელმა ზურაბ მარუაშვილმა, ნახშირღელელმა: მაია გაბიძაშვილმა, ნატო ფრუიძემ, ქრისტინე მსხვილიძემ, ლელა გვენეტაძემ, ლალი კლდიაშვილმა, სოფო ნიკოლაძემ, ნინო კრავიშვილმა, ლაშა ლანჩავამ და სხვებმა აღნიშნეს ღამისთევის მადლის და ლოცვის მნიშვნელობა. თქვეს, რომ პოულობენ ძალას საკუთარ თავში—დაიცვან მარხვა, მიატოვონ საშინაო საქმეები და ეკლესიას მიაშურონ, როგორც კი ეკლესიის ზარები ჩამოჰკრავენ, შეუერთდნენ სულიერ ღვაწლში წარმატებულ ძმებს და უპირველესად სულიერ მამას. მათვე აღნიშნეს, რომ აღფრთოვანებთ მამა დავითის კეთილი ზნე და ქმედებები, არასოდეს დაუმალავთ მისთვის იმის მოყოლა, რაც მოსანანიებლად მიაჩნიათ.

ანთებული სანთლებით ხელში, ჯვრით მამა დავითი წინ წარ-

გვიძღა და სამჯერ შემოვუარეთ ეკლესიის, მერე ტაძარში ადგილები დავიკავეთ და დაიწყო ღამისთევის ლოცვები მიძღვნილი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისადმი. ტაძარმა ხალხი ვერ დაიტია და მრავალი გარეთ იდგა...

სააღდგომო რეპორტაჟი ნახშირღელის ღვთისმშობლის შობის ტაძრიდან

ეკლესიაში საზეიმო განწყობა შეიქმნა. მამა დავითმა საცეცხლურით, ანთებული სანთლით უკმია საკურთხეველს, მთლიანად ეკლესიას, მისი მსვლელობა ეკლესიაში და სიტყვები „სიბრძნით აღემართენით“ განკუთვნილი იყო მორწმუნეთა ყურადღების გასამხნევებლად მიმდინარე საღმრთო მომენტებთან დაკავშირებით. მორწმუნენი აღიარებდნენ, რომ მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებამ შეძლო კაცობრიობის წყდიადიდან გამოყვანა და ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, საცეცხლურით ჯვრის გამოსახვით მიგვანიშნა მაცხოვრის ჯვარზე წამებაზე, საკურთხეველში შესვლით მკვდრეთით აღდგომაზე.

მედავითნეებმა წაიკითხეს გამორჩეული ადგილები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ფსალმუნები. ხშირ მოწოდებას—ქრისტე აღსდგა—მრევლი ერთხმად და ხმამაღლა პასუხობდა—ჭეშმარიტად აღსდგა. სრულდებოდა საგალობელი—ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი. წითელ პარასკევს მოთქმით ნამღერი—ვაი, რა კარგი საჩინო—აღდგომის სიხარულმა შეცვალა.

საზეიმო განწყობილების შე-



საქმნელად ღამისთევის ლოცვებში ჩართულ იქნა მთელი რიგი ლოცვები და მოქმედებები. გაძლიერებული ლოცვით „უფალო შეგვიწყალე“—მამა დავითმა შესთხოვა ღმერთს—პატრიარქის და საპარტრიარქოს, სამღვდელოების, ერისკაცთა, მთავრობის, მხედრობის, ყველა ქრისტიანის შეწყალება და კეთილდღეობა, ტყვეთა განთავისუფლება, სნეულთა განკურნება, ქვეყნიერების დაცვა მიწისძვრისა და ომებისაგან, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების მშვიდობით დაბრუნება, ჩვენი მოძმე უკრაინელი ხალხი ღმერთს შეავედრა, გარდაცვლილთა სულები მოიხსენა. მამა დავითმა, რადგან კარგად იცნობს მრევლს, თითქმის ყველა სახელობით დალოცა, ზოგმა თავისი სახელი „შეაგება“ ყველას კიდევ ერთხელ მიულოცა ქრისტეს აღდგომა და მოუწოდა მიელოცათ ერთმანეთისათვის.

პურის, ღვინის კურთხევით გაახსენა მრევლს მაცხოვრის მიერ ხუთი პურით ხუთი ათასის დაპურება, ზეთის ცხების რიტუალით გამოთქვა რწმენა, რომ მისი მიმღებნი მიიღებენ კურთხევას, შვებას, შეუერთდებიან წყაროს სიცოცხლისას. ითქვა ზიარების ლოცვა, რითაც მორწმუნეებმა აღიარეს თავიანთი რწმენა ქრისტესადმი და ითხოვეს მისგან წმინდა საიდუმლოს მიღება.

მამა დავითმა აკურთხა ღამისთევაზე დამსწრე მრევლი, მთლიანად ერი—„კურთხევა უფლისა თქვენზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარეობითა“. მორწმუნენი ემთხვიენ ჯვარს და მიიღეს წმინდა სეფისკვერი. მრევლმა და მგალობლებმა ორჯერ იმღერეს მრავალჟამიერი, ზიარებისას უწყვეტად იგალობებოდა—ქრისტე აღსდგა, დეკანოზის ხმამაღალ მოწოდებას—ქრისტე აღსდგა, მრევლიც ხმამაღლა პასუხობდა—ჭეშმარიტად აღსდგა.

ქადაგება მამა დავითისა

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტება ასე განმარტა: იესო ჯვარს აცვეს და დაფლეს, საფლავი დაბეჭდეს, დაცვა მიუჩინეს, გამთენიისას კი საფლავი ცარიელი აღმოჩნდა. მოციქულები, რომლებიც მიმოიფანტნენ შეპყრობილი მოძღვრის დანახვაზე, განა შეძლებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში წასულიყვნენ და გაევრცელებინათ ცრუ ჩვენება, გაუძლებდნენ სიკვდილის საფრთხეს თუ არ ექნებოდათ გაცნობიერებული აღდგომის ძალა და სიდიადე, ან როგორ შეძლებდნენ მოციქულნი დაბეჭდილი ლოდის გადაგორებას მცველების თვალწინ, რატომ დახვდათ მოციქულებს სამარხში ზეთით გაჟღენთილი უფლის სუდარა, ზეთი ხომ მჭიდროდ აწებებს მას სხეულს, მომპარველნი განა დროს დაკარგავდნენ სუდარის შესანახად?

ჯვარცმისა და სიკვდილის ნამდვილობა, სხეულის არ ყოფნა საფლავში, მცველთა დაყენება, ტილოების და სუდარის ნახვა, ორმოცი დღის განმავლობაში მოწაფეებთან ყოფნა, ნალურსმალი ადგილები, ლახვრით მიყენებული ჭრილობა, მრავალი სასწაული ცხადყოფს აღდგომის ჭეშმარიტებას, არც მოციქულები იქადაგებდნენ ქრისტეს აღდგომას თუ მართლაც არ ნახავდნენ აღდგომილ ქრისტეს, რატომ აღუდგებოდნენ წინ მთელ ებრაელ ერს, სასწაულების გარეშე 12 მოციქული როგორ დაიპყრობდა მსოფლიოს თუ მათში ღვთიური ძალა არ მოქმედებდა, ადამიანური შესაძლებლობებით ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ.

აღდგომილი მაცხოვარი ეჩვენებოდა არა მარტო მოწაფეებს, არამედ გამოეცხადა ხუთას ადამიანს, მოციქულ თომას კი ნალურსმალი ადგილები და ჭრილობა აჩვენა და როცა ამბობდნენ იესოს მტრები—რატომ არ მოხდინა ქრისტემ აღდგომის შემდეგ მრავალი და დიდი სასწაული, მხოლოდ ჭამდა და სვამდაო, პასუხი ერთია—აღდგომა იყო უდიდესი სასწაული და ამ სასწაულის უდიდესი დამამტკიცებელი საბუთი სწორედ ისაა, რომ იგი ჭამდა და სვამდა.

***

ქადაგების დასასრულს იკურთხა ტრაპეზი, გამოცხადდა დიდი მარხვის დასასრული, ხსნილი ყოვლითურთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872